767 კვირა, 7 მარტი | 1896—1899 | კვირა, 7 მარტი. № 767

ცნობის ფურცელი

უოველ-დღიური გამოცემა

...ამბა და რედაქცია
...ლისი, სასახლის ქ.,
...აზნაურო ქარვასლა

...მწერნი გაზეთის დასაკვე-
...მართავენ რედაქციას დილის
...საათამდე და საღამოს 6—7
...ს." წიგნის მაღაზიას.

...მუწერავ წერილებს რე-
...ქცია არ ბეჭდავს.

...ერ მოლაპარაკება რედაქ-
...თან შეიძლება ყოველდღე.
...ტელეფონი № 363

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.

თითო ნომერი 3 კაპიკი

ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
тифлисъ, Дворцовая ул. д
Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
...აზეთი „ცნობის ფურცელი“
...ღირება 5 მან., და 50 კაპ.

დიმ. კოსტ.-ძე ერისთავი
(ოქრომჭედლების ქუჩა, სახ. თულაევისა № 40.)
სადოსტაქარო (ხირურგ.) სნეულებანი—
...იღებს ავადმყოფებს—დილის 10—1 საათამდის.

Докторъ Д. К. ЭРИСТОВЪ
...ебрянны рядъ д. Тулаева, № 40). (10—5).

ექიმი ი. ია. გოკიელოვი
...იიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს
...და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით
...2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ.
...და შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათ.
...ქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახვე-
...შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.
...ვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—9)

ქ. ქუთაისი
ექიმი
... გ. ჭიჭინაძე
...იღებს ავადმყოფებს
...დილის 9—11 საათამდე
...და საღამოს 4—6 საათ.
...ჯვაშოვის ქუჩა პ. ხარაზოვის
სახლი № 13.
...КТОРЪ Н. Г. ЧИЧИНАДЗЕ
...аисъ, Левашеская ул. № 13.

ექიმი
... მ. ჩიქოვანი
...ყოფებს იღებს ყოველ დღე დი-
...11—12-მდე და საღამოს 7—
8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
...кторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

...რნალო და ამბულატორია
...თოფურიასი
ქუთაისში.
...ნალოში 50 საწოლია ავად-
...თვის მიიღებიან ავადმყოფ-

...ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
გო, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. ქ. ბერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კობანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფო-
ბის და აკუშერობის D-r ფ. ბა-
ცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ.
ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საქიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თო-
ფურია
Лѣчебница В. С. Топуріа въ Кутаисѣ.

## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

ქართლ-კახეთის საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ არიან: გლეხი ალექსანდრე ფანიაშვილი—კუშატანის ღვთისმშობლის ეკკლესიისა, 3 დეკემბერს.

გლეხი თეოდორე რადუმბაშვილი—ახალგავაზის ღვთისმშობლის ეკკლესიისა.

გლეხი თეოდორე გალუსტაშვილი—ხოვლის იოანნე ნათლისმცემლის ეკკლესიისა—4 დეკემბერს.

გლეხი გიორგი ტურაშვილი—ჯიმითის თომას ეკკლესიისა, პირველ სამწლობით.

გლეხი სამსონ ქევხიშვილი—ნაიდურის წმ. გიორგის ეკკლესიისა, პირველ სამწლობით.

გლეხი მალაქია ხუნაშვილი—კაკაბეთის წმ. მარინეს ეკკლესიისა, პირველ სამწლობით და გლეხი სპირიდონ ოთარიშვილი—კაკაბეთის სამების ეკკლესიისა, პირველ სამწლობით—ორივენი 23 დეკემბერს.

# ახალი ამბავი

*** ორიოდე სიტყვა ჩვენი ბანკის გასაფრთხილებლად. ამ ბოლო დროს ტფილისის ზოგიერთი კალატოზები სიმდიდრის შესაძენად შემდეგს ხერხებს ხმარობენ: იყიდიან ადგილს ქალაქის რომელსამე უბანში, გასჩიჩქნიან მიწას ერთს ადგილზე, საჩქაროდ ამოიყვანენ თხელ საძირკველს და თხელ კედლებს, შენობას ბანკში აგირავებენ, ბანკიდან გამოაქვთ ფული ოთხასხუთასი თუმნობით და შემდეგ ამ შენობას, განძრახ ბანკს უტოვებენ ჩვენ ვიცით, რამდენიმე ქართველი, რომელთაც ამნაირი შენობა შეუძენიათ; ისინი დღეს სტირიან, თავბედს იწყევლიან, კედელი-კეჯელს არა ჰგავსო, სახლის კოჭები დამპალიაო, საზოგადოდ ხის მასალა ნაკლები ღირსებისააო; საკმაოა, ოთხი-ხუთი წელიწადი, რომ ასე სიჩქარით აშენებული სახლი დაინგრესო. ხედავთ, რომ იმ კალატოზმა, რომელმაც თვისი პირველი სახლი დააგირავა, გაასაღა საზარალოდ ბანკისა და მყიდველისა, ხელი მიჰყო მეორე ადგილს ახალ სახლის შენებას, რადგან მასთვის ისე ადვილია სახლის აშენება, როგორც ერთი ჭიქა ღვინის დალევა, აშენებს სახლს იმ მიზნით, რომ ეს შენობაც დააგირაოს ბანკში, გამოიტანოს იქიდან ფულად ოთხასი, ხუთასი ხშირად ექვსასი თუმანი, და მერე ან ბანკს მიატოვოს იგი გადასახადის შეუტანლობის გამო და ან ვისმეს, უმეცარს და გამოუცდელს, მიაჩეჩოს და მოგებაც ნახოს..

ასეთი სახლების შენება გავრცელებულია უფრო ტფილისის განაპირა ადგილებში, მაგალითად, ვერაზე, ჩუღურეთში, დიდუბეში და სხვაგან. ბევრი ქართველთა ბანკის გულშემატკივარი შიშობს, რომ ამ ბანკმა არ იზარალოს ასეთი ანგარების მოყვარე კალატოზების მეოხებით, „ზღვა კოვზით დაილევაო“ ნათქვამია!! მეც ამ გულშემატკივართა რიცხვს ვეკუთვნი, თუმცა არც თავადი, არც აზნაური გახლავართ.

მივაქცევთ ბანკის სამმართველოს ყურადღებას ზემო აღწერილ გარემოებას, რომლის შესახებ ეჭვის შეტანა შეუძლებელია, და ვურჩევთ ამ სამმართველოს აძლიოს სესხი კალატოზებს, თვალ-ყური დაიჭიროს შენობის სიავ-კარგის საფუძვლიანად შესატყობლად და ამის კვალობაზე გასცეს სესხი, თორემ ადვილად შესაძლებელია ბანკმაც იზარალოს და ხელმოკლე მყიდველმაც ასეთი საჩქაროდ ქვიშაზე აშენებულ სახლებისამ.

ორინიანი

*** საეკლესიო საუბარი ქვაშვეთის ეკლესიაში. დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში, მწუხრის შემდეგ, დიდუბის ეკკლესიის წინამძღვარი, მღვდელი ვალ. ცინცაძე წაიკითხავს საეკლესიო საუბარს ქართულს ენაზედ შემდეგი სათაურით: „ილოცევდით და იღვიძებდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა“. იმავე დღეს ტფილისის სასულიერო სემინარიის ტაძარში მწუხრის შემდეგ, წაიკითხავს რუსულ ენაზედ ასეთსავე საუბარს ამავე სემინარიის მასწავლებელი ბ-ნი ალ. ალბოვი სარწმუნოების აღსარების შესახებ.

ამავე დღეს, მწუხრის შემდეგ, წაიკითხავს ასეთსავე საუბარს რუსულად ტფილისის მეორე სამისიონერო ეკკლესიაში ცნობილი მქადაგებელი მღვდელი იოანნე ვოსტორგოვი.

*** სადგურის გაფართოება. „კავ-

„კაზს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ 5 მარტს რკინის გზის საქმეთა რჩევა გადასწყვეტდა იმ კითხვას, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის პატარა სადგური „ჯუმათი" გადაკეთდეს დიდ, დამოუკიდებელ სადგურად.

*** **საბადოსნო სკოლის მოწაფეთა რიცხვის შემცირება.** გადაწყვეტილია, რომ ტფილისის საბადოსნო სკოლის მოწაფეთა რიცხვი შემცირებულ იქნეს 60-მდე. 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვით სკოლის შენობათა გასაფართოვებლად გადადებულია 4,500 მან. ამ ფულით წელს ააშენებენ ახალ შენობას კლასებისათვის და მოაწყობენ შენობას სადურგლო სახელოსნოსა, საფიზიკო კაბინეტისა და მუზეუმისათვის.

*** **სოფლელების შუამდგომლობა.** ცხინვალის სასოფლო საზოგადოების მცხოვრებლები სთხოვენ კავკასის უმაღლეს მთავრობას, გაგვანთავისუფლეთ დარჩენილ საკომლო და სხვა სახელმწიფო გადასახადებისაგანაო, რომელიც უდრის 5,513 მ. და 18 კ.

*** **რკინის გზის მსახურთა შემწეობა.** „ბირჟ. ვედ." იუწყება, რომ ინჟენერმა კეტრიცმა წარუდგინა გზათა სამინისტროს თავის მიერ შემუშავებული ახალი პროექტი იმ წესებისა, რომელიც შეეხება ამიერ-კავკასიის რკინის გზის მსახურთათვის შემწეობის აღმოჩენას.

*** **სიღნაღის საქალებო სკოლის საქმე.** სიღნაღიდან „ახ. მ." სწერენ, რომ სიღნაღის პირველდაწყებითი საქალებო სასწავლებლის ნივთიერი სიღარიბის გამო ადმინისტრაციამ წინადადება მისცა სიღნაღის ქალაქის რწმუნებულთა კრებას კითხვა იმის შესახებ, რომ ქალაქის ფულიდან გადაიდვას სასწავლებლის დასახმარებლად 368 მან., სანამ გადაწყდებოდეს სამოსწავლო ოლქის მიერ აღძრული შუამდგომლობა ხსენებულ სკოლის გადაკეთების შესახებ ამ კითხვას განიხილავს ამ დღეებში რწმუნებულთა მორიგი კრება.

*** **† მოძღვარი პეტრე ალუშოვი.** წარსულ თვეს, ახლციხეში, გარდაიცვალა ყველასგან დიდათ პატივცემული ქართველ კათოლიკეთა მოძღვარი პეტრე ალუშოვი. განსვენებული მეტათ მხცოვანი ქართველი მოძღვარი იყო, დიდი მოკამათე ქართველ გვაროვნობის უარის მყოფლების, მასთანვე დიდი მქადაგებელი, მჭევრ მეტყველი, შესანიშნავის წამოსადეგობის, ქართულის ენის და ისტორიის კარგად მცოდნე.

განსვენებულს ევროპაში ჰქონდა სწავლა მიღებული. იგი სომეხ კათოლიკეთა ტიბიკონზე იდგა, მაგრამ რაც ქართველ გვარის კათოლიკეებს გამოეცხადათ, რომ დღეის შემდეგ ეკკლესიებში ქართულათ აღარ სწიროთო, ამიტომ განსვენებული სომეხთ ტიბიკონიდგან გადადგა, ლათინურს წესს დაადგა და ლათინურათ დაიწყო წირვა-ლოცვა. მას შემდეგ, ახალციხეში იგი ყოველთვის გზა-კვალ გადუხვეველი იდგა და მფარველობდა ქართველთა საქმეებს.

განსვენებულის დასაფლავება დიდის პატივისცემით მომხდარა. დასაფლავებაზე დოქტორ ზამლინსკის რუსულათ წარმოუთქვამს სიტყვა და პატივცემულს ვინმე მესხს ქართულათ, რომელსაც შემდეგ ნომერში მოვიყვანთ.

*** **საყურადღებო ხელთნაწერი.** ბათუმიდგან „ივერიას" სწერენ, რომ ლევან ლუკას ძე მჭედლიშვილმა, ამ დღეებში, ახალციხიდგან ბათუმში ჩამოიტანა ერთი ქართულათ ხელთნაწერი რვეული, სადაც ბევრი რამ საყურადღებო სწერია ქართველთ კათოლიკეთა გვაროვნობის შესახებ. ამ რვეულის ცნობები დაუწერია ახალციხელს ქართველ კათოლიკეს დედებაშვილს, რომელიც გზის მაჩვენებელი იყო დ. ბაქრაძისა, როცა ეს 1876 წ. აჭარაში მოგზაურობდა. ამის სახელს და გვარს დ. ბაქრაძე თავის მოგზაურობაშიაც ასახელებს.

იმისგან დატოვებულ ცნობებიდგან აშკარად სჩას ქართველ კათოლიკეთა გვარიანობის გადაგვარების მიზეზი ამიტომ საჭიროა, რომ ეს ხელთნაწერი რვეული არ დაიკარგოს და შენახულ იქმნას სამერმისოდ. დღეს ეს ხელთნაწერი ინახება ქართველ კათოლიკის პატივცემულის პ. იზაშვილის ხელში, რომლის წერილიც შარშან წინ „კავკაზში" რუსულად იყო დაბეჭდილი და მერე თარგმანი ქართულადაც დაიბეჭდა.

*** **წერა-კითხ. საზოგადოების გამგეობის შუამდგომლობა.** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს მას გამართოს სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

*** **ცხენის რკინის გზის მოწყობის საქმე.** გუშინ, 5 მარტს, ხმოსნებმა ა. ს. ბაბოვმა, ა. ბ. ევანგულოვმა და ნ. ა. ხუდადოვმა წარუდგინეს ქალაქის გამგეობას შემდეგის შინაარსის მოხსენება.

ფრიად საჭიროა, რომ საბჭოს მოხსენდეს ანგარიში იმისა, რა ფული დაიხარჯა ცხენის რკინის გზის გამოსაწყობად და რითი გათავდა ეს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის გამგეობამ 1 თებერვლის კრებაზე გადასწყვიტა შემდეგ კრებას წარუდგენთ ანგარიშს ამ საქმისასაო. აქამდე ანგარიში არ არის წარდგენილი და ამიტომ დასახელებულნი ხმოსნები სთხოვენ ქალაქის გამგეობას, რაც შეიძლება მალე წარმოადგინოს ანგარიში ცხენის რკინის გზის მოწყობის საქმისა.

*** **ტფილისის ხელოსანთა კრება.** 4 მარტს ყრილობა ჰქონდათ ტფილისის ხელოსანთ. ამ ყრილობაზედ სახელოსნო გამგეობის ხარჯი ამ წლისთვის გამოანგარიშებულია 3020 მან. ხელოსანთა მოურავს ჯამაგირი დაენიშნა 1000 მანეთი. ამასთან ყრილობამ დაადგინა სახელოსნო გამგეობის შესანახად მოკრიბოს იმ ხელოსნებისაგან, რომელთაც მოწმობა აქვთ, თითო მანეთი, ხოლო ქარგლებისაგან ათ-ათი შაური.

*** **სოხუმის საქმეები.** როგორც მოხსენებული გვქონდა, სოხუმის პოლიცმეისტერი შტაბს-კაპ. კოტლიაროვი და ქალაქის ბოქაული ზავოროტინი სამსახურს თავს ანებებენ. ახლა „ახ. მიმ."-ს სწერენ, რომ ხსენებულ პირთაგან სამსახურის დატოვება გამოუწვევია ქუთაისის ქალაქის საქმეთა საკრებულოს სოვეტნიკის ცელიარიისკისაგან სოხუმის პოლიციის რევიზიას.

იმავე გაზეთს ატყობინებენ იქიდანვე, რომ სოხუმის ქალაქის საბჭოს ხმოსნების მომავალ არჩევნებზე თავმჯდომარედ დანიშნულია, პოლიცმეისტერის კოტლიაროვის მაგივრად, სოხუმის ოლქის უფროსის თანაშემწე პოდპოლკ. დე-სიმონი.

*** **მუშაობა ბაკურიანის რკინის გზაზე** 15 მარტიდან განახლდება მუშაობა ბაკურიანის რკინის გზაზე.

*** **მწვალებლობა ბორჩალოს მაზრაში.** „კავკას-"ში შემდეგი ამბავი სწერია: ბორჩალოს მაზრის სოფ. სადახლოსა, დემურჩასალოსა, კიშანოსა, არახლსა, ორზუმანსა, ბეზახლუსა, თაზანვენდსა, ირგანჩსა და სოუხშულახში სამაზრო ადმინისტრაციას აღმოუჩენია მავნებელი მწვალებლობა ადგილობრივ მუსულმანებში. ამ მწვალებლების მიმდევარნი შუა ოთახში სდგამენ ადუღებულ სამოვარს ტაბურეტზე, ხოლო სამოვრის ხუფზე მოათავსებენ თუნუქის ციბრუტს; მონაწილენი, სქესისა და ხნოვანების განურჩევლად, მთლად გატიტვლებულნი, ჯერ სამოვარს გარს უვლიან, შემდეგ ხტიან, ტრიალებენ, სანამ სრულიად ბრუვდებოდნენ, და ამის შემ...
გაიმართება ყოვლად უზნეო ს...
თები. ბევრს გულიც მისდის; ...
მოქმედებას ხშირად შედეგად ...
დევს ნერვების აშლა, ჭკუაზ...
შლა და სხ...

ეს მწვალებლები არ მუშ...
მხოლოდ ლოთობენ და ფლ...
ვენ თავიანთ საცხოვრებელს...
ყურადღებოა, რომ ამ მოვლ...
რომელიც აღნიშნულ სოფლ...
ეს ათი წელიწადია არსებობს,
დენ ხანს არ მიუქცევია მთავ...
ბის ყურადღება.

*** **ქაღალდის ქარხანა კავკ...**
**ში.** მთავრობამ დაამტკიცა კ...
სიის ქაღალდის ქარხნის საქ...
ნერო საზოგადოების წესდება...
ზოგადოების ძირითადი თანხა ...
რის ნახევარ მილიონ მანათს.
ფუძნებლები არიან: თუმაევი, ...
მოვი და აკოფოვი.

*** **მცირე შენიშვნა.** ევრ...
დან გამოტყორცნილმა ცივი...
ციამ თითქმის ყველა ხმელ...
კუთხეებში გაიდგა ფესვი, თვით ...
მოსავლეთის ხალხოსნობაშიაც ...
მაგრამ ჩვენს დაუდგრომელს ...
ხში კი არა ეღირსა რა და ს...
ძველი ვერ ჩაიდგა. ისევ ხმ...
ხანჯალი და მუშტი კრივი, ...
თი ცხოვრების ასპარეზზედ ...
შავო იარაღი. აბა თვალი ადე...
ჟურნალ-გაზეთებს ისე დღე არ ...
ვა, რომელიმე თავადმა ანუ ...
ურმა, ან არავინ დასჭრას, ან ...
მოკლან და ამ ბოლო დროს ...
რცვასაც მიჰყვეს ხელი, და ბევ...
ისეთი შემთხვევებია, რომ შ...
რულად ათავებენ საქმეს, და ...
აქვეყნებენ. აი ამ ცოტა ხ...
რამდენმა თავად-აზნაურმა ჩაი...
დანაშაული: ზემო ქართლში ა...
გვერდწითელმა ვილაცა ოსს ...
ლა თავი, ვ. უთნელიშვილმა ...
სახლისის თანაშემწე კეტით მი...
დარა, ბ. დავიდოვმა თავის ს...
კაცს ესროლა თოფი, ბ. ტ...
შვილმა და მისმა თანამოზ...
აკუწეს საბრალო გაბაშვილი, ...
ყანჩაველმა დაკლა ი. ყანჩ...
და სხ. ამათსავე ფეხის ხმას ...
სოფ. ზემო ნიჩბისში (გორ. მ...
მცხოვრებელი ი. გ. ც—შ...
რომელიც დახვდა თავისავე ს...
კაცს ი. დ. ც—შვილს შვილ...
მოსამსახურითურთ და დახრ...
უპირობდა, მაგრამ მისდა ს...
როდ ზედ წაადგა ს. ი. თურქ...
ნიშვილი, რომელმაც საბ...
მსხვერპლი ი. დ. ც—შვილი ...
დგან გააგდებინა ი. გ. ც—შ...
მოსამსახურეს. თვითონ ი. ც...
ლი კი ჯირკვებში იყო ამო...
ბული და სდარაჯობდა უცე...
ვინ წამოგვეფეთოსო. იმედ...

...ადამიანურს საქციელს ყურა... ბას მიაქცევს ვისიც ჯერ არს ...ასტიკად ალაგმავს ამ ვაჟბა... ბების საქციელს, მით უფრო, ...გაბეზრდა გული და ეგება რო... მე შეთხელდნენ ჩვენს ქვეყა... ამ გვარი მავნებელი საზოგა... ბის წევრნი.

**...ქიზიყი** სამკურნალოების და ...ების შესახებ. როგორც ნამ... ...წყაროებიდგან ვიცით, სა... ...ალო მთავრობას გადუწყვე... ქიზიყის სოფლებს ვაქირ-ანა... ...იყოლიონ სამუდამოთ ერთი გა... ...ილი ფერშალი უკეთუ ეს სოფ... ...იკისრებენ სახლის ქირას და ...ლის ჯამაგირს. საერთოდ ეს ...ი არ აღემატება 500 მან. ...წადში, რომელიც შედარე... 1300 კომლთან მაგდენი არა... ...ა. ამ დღეებშივე მოვიდა და... ...ცება ქვემო მაჩხანიის სასოფ... ...ქსენონისა, მხოლოდ ითხო... ...ხარჯის ფულს, რომელიც ათ... ...ფელმა იკისრა, შეიკრიბოს ...ენობაც მოეწყოს. ხალხს ყვე... ...რდასახადი ემძიმება, თუნ... ეს გარდასახადი ორიოდე ...შემდეგ ერთი ათათ მეტო... ...უკანვე დაუბრუნდეს. აი ამი... საჭიროა, თუ მართლა მოი... ...ბიან ქიზიყში ცოტად თუ ...ად სიკეთისთვის ალლო ალე... ...პირნი, არ დაიშურონ თა... ...ი შრომა თავიანთსავე სასარ... ...ოთ და ხალხის საბედნიეროთ ...აუხსნან. ჩააგონონ კეთი... ...იზანი, ღრმათ ჩაახედონ ისი... ...მის სიღრმე-სიგანეში, რათა ...ობინონ კეთილი საქმე და ...წესებულებათა ცხოველ მოქ... შედეგი, რომ არ დაიშუ... ...და დროზედ გამოიღონ თა... ...ი წვლილი. დროა ეხლა მაინც ...ფხიზლონ ხალხის წინ მო... პირთ და გამოაფხიზლონ ...ძილისაგან თავიანთი სამწყ... თუ ეს კეთილი საქმეც ხე... ...ან წაუვიდა ქიზიყს თავის ...ვრობით, როგორც სხვა სა... ...ო სიქმეები მიაგდო უფს... ...ისა შინა დავიწყებისასა, ქი... ...სულს ველარ მოიბრუნებს ...ამოწყვეტის გზას, რომელ... ...ადგომა თითონვე თავისი ხე... შეიმოკლებს.

კოპალაძე,

**ს. ვალე** (მესხეთი). ...მას ...ა. ს. ვალეში ნაკლები რი... ...ქართველებისა არის, სომხე... თათრები აჰარბებენ ქარ... ...ებს, ბევრი თათარი ჰფიქ... ...გაქართველებას, მაგრამ იმის ...არ აასრულებინებენ, თუ თა... ...აზრი წარმოსთქვა და გააგე... თავის უფროსს „მოლას“ ...ასტიკად მოეპყრობიან. ამას ...ერთმა თათარმა ქართული რჯული მიიღო. თავისმა ძმამ უმ ტრო და მოსაკლავად დასდევდა; როცა შეხვდნენ ერთმანეთს, სასი-კვდილოთ გაიმეტეს ერთმანეთი და ცულებით ცემა დაუწყეს ერთმანეთს. გაქართველებულმა აიცდინა ძმის ცულის ბასრი პირი და აღგზნებულმა დაუშვა თავზე და სული გააყრევინა. ექვსი თვე იყო დაჭერილი და გამოუშვეს... აქაური თათრები მომეტებული ნაწილი გაქართველდებოდა, რომ ნება ჰქონოდათ დართული. იმედია აქაური მოძღვარი თავის სამწყსოს წინ წაიყვანს და ბევრს ქართულ რჯულზე მონათლამს.

ფრონის პირელი.

*** **დ. აბაშა** (სამეგრელო). **ცრუ ექიმი.** ჩვენი სოფელი მოკლებული გვეგონა ისეთ უვიცობას, რომ ვერ გაარჩევდა ნამდვილ ექიმს სოფლის მატყუარა და მაწანწალა ექიმბაშისაგან, მაგრამ მოვსტყუვდით. დ. აბაშის ახლო ს. საცომაიოში ერთი ვიღაც ბებერი ამცრელი ჯერ თავის ხელობის უცოდინარი სხვა ექიმბაშობასაც კი ჩემულობს. მაგალითად, მისი წყალობით აქ ბაზრის ახლო ერთი წვრილი ცოლშვილის პატრონი კაცი უდროვოთ გამოესალმა წუთი-სოფელს. ეს უდროვოდ გარდაცვალებული მწარე ქარით ყოფილა ავად. მცოდნე ექიმი, ღვთის წყალობით, აგერ მეხუთე წელიწადია მუდამ აქ იმყოფება, მაგრამ გამოტვინებული ბერი-კაცის წყალობით, რომელიც მარტო ძირტკბილას ნახარშს წყალს ასმევს ავადმყოფს, დროის დაკარგვით და ტვინის და გულის გაფუჭებით ასე უდროვოდ გამოასალმა წვრილი ცოლშვილის პატრონი წუთი-სოფელს! საჭიროა უფროსმა ექიმმა დაიბაროს გამოჩერჩეტებული ბერიკაცი და აუკრძალოს ასე ხალხის დაღუპვა.

ვინც უნდა ვიყო.

*** **სოფ. ჯუგაანი** (ქიზიყი) **შკოლის შენობა.** მასალა შკოლისა სულ მოზიდეს მოიჯარადრებმა, რომელთაც ჰქონდათ აღებული 2,500 მანეთად. სჩანს, რომ დიდი შენობა უნდა გაკეთდეს. ადგილიც მშვენიერი ამოურჩიეს ეკლესიის გვერდზედ საცი დიდი მოედანია და შეიძლება მშვენიერი ბაღიც გაკეთდეს. ყველა მზრუნველები ამ შენობისა გულ-მოდგინეთ ეჭიდებიან ამ კეთილს საქმეს. შენობის დაწყებას ვაპირობთ მარტიდგან, უნდა დამზადდეს მკათათვის პირველამდის. ჯუგაანელებმა გვიჩვენეს სიყვარული და სწავლისთვის მოწადინეობა; იმედია სხვა სოფლებშიც ამნაირს მაგალითს მიჰყვებიან რომელთაც წლეულ გახსნეს შკოლები.

— **მამასახლისის არჩევანი.** ჯუგაანში იყო მამასახლისის ამორჩევა. ამოირჩიეს ისევ ძველი მამასახლისი გიგა ალადაშვილი, რომელიც არის შკოლის შენობის ზედამხედველი და რომელსაც ამ კეთილი საქმისთვის არა ნაკლები ღვაწლი დაუთესნია.

— **საკვირაო სკოლა.** ამ ორკვირაში ჩვენმა მასწავლებელმა დაიწყო საკვირაო სკოლა, რომელსაც ბევრი ხალხი ეტანება და მოწადინებულია მთელი ახალ-გაზდობა იარონ და შეიძინონ სწავლა. დაიარებიან 15—25 წლამდის ვაჟკაცები, გარდა სხვა და სხვა წიგნების კითხვისა და წერა კითხვის შესწავლისას, სწავლობენ ანგარიშს (ჩოტკსა) მასწავლებლის შემწეობით არა ნაკლებ ზრუნავს ამნაირი საქმისთვის მ. ეგნატე მენთეშაშვილი, რომელიც მხარდა მხარ უწევს ულელს კეთილ და საიმედო საქმეში მასწავლებელს ჯუგაანისას. საკვირველია, ნუთუ სხვაგან—საკვირაო სკოლებს ხალხი უფთხის არა გვგონია. საქმე ის არის, რომ სხვაგან გული არ შესტკივათ ხალხისთვის...

ილო-მიცან

# თეატრის მატიანე

**დუშეთი.** რუსულ-ქართული წარმოდგენა. შაბათს, 27 თებერვალს, ადგილობრივი ადმინისტრაციის ნება-დართვით, სამუსიკალურო დარბაზში, ჯარის-კაცებმა გამართეს წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით ითამაშეს: ვოდევილი «На хуторѣ» და გუნიას კომედია „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“. ქალების როლს ვაჟებივე ასრულებდნენ და ყველას სასახელოთ უნდა ვთქვათ, რომ წარმოდგენა ჩინებულად და ლაზათიანად გამოვიდა. მოთამაშეთა შორის, გოლა დედაბრი შვილმა, ხეჩუევმა და ალიბეგოვმა უფრო თავი ისახელეს. მათი შეგნებული თამაში და შესაფერი მიხვრა-მოხვრა, ტაშის კვრას და ვაშას ძახილს იწვევდა. საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა და ბოლოს ყველანი სცენაზე გამოიწვიეს. გულითადი მადლობის ღირსია აფიცერი თავ. გარდაფხაძე თაოსნობისათვის და იმედიცა გვაქვს კვლავაც არ დაიშუროს თავისი მხნეობა ასეთი კეთილი სასარგებლო საქმისათვის, როგორც არის სარკე ცხოვრებისა თეატრი.

?

## სასამართლოს მატიანე

### საჩივარი რედაქტორებზე.

I

გუშინ 6 მარტს, როგორც მკითხველებს შევატყობინეთ, სასამართლო პალატაში იყო დანიშნული სალიტერატურო საქმე: ბრალდებოდათ რედაქტორებს ჩვენის გაზეთისას ვ. ლ. გუნიას და გაზ. „კივკაზის“ ვ. ლ. ველიჩკოს. ორთავეს ამტყუნებდა სოჩის ოლქის უფროსი პოლკოვნიკი გლაგოლიევი.

სასამართლოში გუშინ თავმჯდომარეობდა პალატის წევრი ფრანცოვი და წევრებათ იყვნენ, პალატისავე წევრები ოპტოვცევი და გლუმანოვსკი. ბრალსა სდებდა მბრალდებელი ივანოვი. დამნაშავე ველიჩკო თითონ გამოცხადდა, მხოლოდ გუნიას დამცველად გამოცხადდა ნაფიც ვექილის თანაშემწე გ. ბ. გვაზავა. ამ საქმის მოწამე გლაგოლიევი არ გამოცხადდა და არ გამოცხადების საბუთი წარმოადგინა. ბრალდებულმა სთხოვა სასამართლოს, რადგანაც გლაგოლიევმა საბუთები თავის არ გამოცხადებისა წარმოადგინა საქმე გადაიდოს.

ბბ. ველიჩკომ და გვაზავამ კი ითხოვეს საქმე გაირჩესო.

პალატამ საქმე სხვა დროსთვის გადასდო და დაადგინა საქმის გარჩევისათვის პოლკოვნიკი გლაგოლიევი მოწვეულ იყვეს.

II

ამავე სასამართლოს დარბაზი ხალხით გაიჭედა: იყვნენ მწერლობის წარმომადგენელნი, სასამართლოსი, პედაგოგიური, და სხვ. ამ საზოგადოებას სურდა მოესმინა საქმე ინსპექტორის ფ. ტ. ბოგდანოვის საჩივარი გაზ. „ტფილ. ფურცლის“ რედაქტორზედ ხრისტეფორე გრიგორის ძე ხუჩატუროვზე. „საჩივარი მდგომარეობს შემდეგში: „შარშან მაისის „ტფილისის ფურცლის“ ნომერში გამოვიდა Nonou-ის წერილი «Ни о комъ ни о чемъ“, სადაც ნათქვამი იყო, რომ მე მოვდიოდი რკინის გზით და შემხვდნენ რამდენიმე მობაასე მგზავრიო, რომლებიც ბაასობენ ერთ უცნაურ პირზედაო. ერთმა მგზავრთაგანმა სთქვა: „ქალაქ ბათუმში რამდენიმე წელიწადი იმსახურა მთელი ცხოვრება სასწავლებლისა ქურდობით ჩაჰყლაპა. იქიდან გადაიყვანეს ქ. ახალციხეში, სადაც აგრეთვე მოიქცა, იქურდა, არამზადობა ჩაიდინა, ფული შეჭამა და იქიდან გადაიყვანეს ქ, შუშაში, სადაც ისევე მოიქცა, მაგრამ მაინც და მაინც უფრო დიდი დანიშნულება მიიღოვო...

ბოღდანოვი თავის საჩივარში სწერს, რომ ამ წერილში თავის თავი სცნო, რისთვისაც სთხოვს პალატას დასაჯოს გაზეთის რედაქტორი ხუჩატუროვი.

ბრალსა სდებდა ხუჩატუროვს ბრალმდებელი ივანოვი, მოწმათ იყო მხოლოდ მოჩივარი ბოგდანოვი, რომელსაც ფიც ქვეშ ჰკითხეს.

ამ მოწამემ წარუდგინა პალატას მოწმობები, რომ მან იმსახურა ქ.ქ. ბათუმში, ახალციხეში და შუშაში, რის შემდეგაც მიიღო დიდი დანიშნულება; წარადგინა კიდეც საბუთები, რომ ყველგან იგი მოღვაწეობდა და არსად ფული არ შეუჭამია.

დამნაშავეს დამცველმა ი. ხეჩატუროვმა გამოაცხადა, რომ გაზეთს სრულებით აზრათ არა ჰქონდა შეურაცყოფა მიეყენებია ბოლდანოვისათვის, იგი არის ნათქვამი მხოლოდ ერთ ვინმე პირზედ, რომელიც დასახელებელი არ არის.

მბრალმდებელმა ივანოვმა ითხოვა ხეჩატუროვი დასჯილ ქმნას.

პალატამ გარდასწყვიტა ხრის ტოფორე გრიგორის—ძე ხეჩატუროვი დაპატიმრებულ იყვეს ციხეში სამის თვით.

## სამკურნალო ცნობა

ლოთობა—ადამიანის დამღუპავია *). საფრანგეთის ექიმმა ბუშარდამ მცდელობით შემდეგი ჭეშმარიტება გამოიკვლია: აიღო ჭური, დაასველა არაყში და ქათმის მამალს აჭამა, მცირე ხნის შემდეგ შენიშნა, რომ მამალს წითელი სინგურივით ბიბილო სრულიად გაუშავდა. ამ გვარადვე რომელი ადამიანიც არაყით იქდინთება, მასაც წითელი დაწმენდილი დედა ძარღვებში მომუშავე სისხლი უშავდება და ზედაკანის წვრილს ძარღვებში გადადის; მოწამლებული ამ გვარი დაუწმენდავი შავი სისხლი მეტად მავნებელია ადამიანის ხნეულისთვის; ამიტომაც, როდესაც კაცი მოწამლებულსა ხვამს მაგარ სასმელებს, მაშინ ფილტვებში უგროვდება დუჟი, გულებაზედ აწვება, უმღის თავისუფალს სუნთქვას და ბევრნი იხრჩობიან კიდეც ამ გვარი სენით. ამ გვარი სიკვდილი უფრო რუსეთშია გახშირებული. მაგარი სასმელები უმეტესად ტვინზედ მოქმედებენ. სპირტის ძალა კუჭიდგან ტვინში დიდის სისწრაფით გადადის, ურევს ჩვეულებრივ თვით მოქმედებას და ადამიანს დანაშაულობის ჩასადენათ იზიდავს. ისტორიით ცნობებიდგან ვიცით, რომ ალექსანდრე მაკედონელი უოვლად კეთილი და პატიოსანი კაცი იყო, მაგრამ ერთხელ შემთხვევით დაითრო და თავისი საუკეთესო მეგობარი კლიტა მოკლა, თუმცა როცა გამოფხიზლდა, ბევრი ინანა და იტირა, მაგრამ რადას უშველიდა?—სიმთვრალეში კაცის მკვლელობა, ჩვენში ხშირი მოვლენაა

მეცნიერმა ბერნარმა ცხოველები მოსწამლა სპირტით, შემდეგ გასჭრა მათი თავები და შენიშნა, რომ მაგარი სასმელები სისხლის მიმოსვლას ერთბაშად უმატებენ: ჯერ შედის ტვინში მოწამლებული სისხლი და უცებ ადუღებს და ადტაცებაში მოჰყავს ადამიანი, მერე ისევ ფილტვებისკენ მიდის და ვიდრე უკან დაბრუნდებოდეს, კარგა ხანი გადის, ტვინი სრულიად უსისხლოდ რჩება და ამ დროს ადამიანი სწუდება და სასოწარკვეთილებას ეძლევა; გამოცდილებით ვიცით, რომ ლოთი ხალხი ერთსა და იმავე დროს ხანა ტირიან და ხან საშინელს მღელვარებას ეძლევიან,—მიზეზი ამ გვარის მდგომარეობისა სისხლის უწესოთ მიმოსვლაა. გასაკვირველია, მთვრალ ადამიანს—ფხიზელზედ ნაკლები სხეულის სითბო აქვს; სითბოს საზომით რომ გაშინჯოთ ფხიზელი ადამიანი და მას ჰქონდეს 37 გრადუსი სითბო, შემდეგ რამოდენიმე ჭიქა არაყი რომ დაალევინოთ და შემდეგ გაუშინჯოთ საზომავით, შენიშნავთ, რომ ნახევარი ან ერთი გრადუსი სითბო დაჰკარგვია ადამიანს. ამიტომაც როდესაც ადამიანს 40 გრადუსი სიცხე აქვს, მაშინ უფრო სამარგებლოა მაგარი სასმელები, ვიდრე სიცივეში, როგორც საერთოდ ჩვენშია მიღებული, თუმცა ამგვარის ზომების მიღება იშვიათია. მთვრალი ადამიანი თუ თბილათ არ არის ჩაცმული, ან ძილის დროს რიგიანად არა ხურავს, ფხიზელზედ მალე ცივდება, რადგანაც სასმელებისაგან რამდენიმე გრადუსი სითბო დაკარგული აქვს და სიცივე ადვილად იმორჩილებს. მრავალი მთვრალი მგზავრი და დარაჯი გაუყინავს სიცივეს.—საერთოდ უნდა ვაღვიაროთ, რომ არაყი უფრო მავნებელია, ვიდრე სამარგებლო.

მაგარი სასმელებით გალოთებულს კაცს, შემდეგი სნეულებანი ემართებიან: სცდებიან ჭკუაზედ, ბნედიანდებიან, დამბლავდებიან, უჩნდება წყალ-მანკი და ხშირად სახადის მსხვერპლნიც ხდებიან.

ივ. კავთელი.

(შემდეგი იქნება)

## რჩეული აზრები

კეთილ-გონიერი კაცი ყოველთვის გულ-წრფელია, მაგრამ ყოველთვის გულ-ახდილი კი არ არის

—

ადამიანის სამართალზე მაღლა, საკუთარი სინიდისის სამართალი სდგას.

—

სხვის ხელში პატარა ნატეხი დიდად გვეჩვენება და ჩვენს ხელში კი გვეცოტავება

—

უდიდესი აზრები გულიდგან იბადებიან.

—

წარმოთქმული სიტყვები არასოდეს უმნიშვნელოდ არ იკარგებიან.

—

„მოვასწრობ“ და „დავიგვიანებ“ ღვიძლი ძმები არიან, მხოლოდ მეორე სიტყვა—უფროსია.

—

მეცნიერება ადამიანს გზას უხსნის, ხოლო ჭკუა კი იმ გზას უჩვენებს.

## ყურმოკრული საუბარი

—

ორი დამნაშავე წარუდგინეს ერთს მეფეს გასამართლებლად, დანაშაულს ერთი მეორეს აბრალებდა. მეფემ უბრძანა:

— პირველისთვის მიმისაჯნია: ეხლავე ჩემი სამეფოდგან განიდევნოს!

— შენ კი, მიუბრუნდა მეორეს,—ისეთის სისწრაფით უნდა გაჰყვე მას, რომ სულ ფეხის ქუსლებს უნდა აგდევნებდე!

—

ერთი გურული ეკითხება მეორეს:

— ამდენ ხანს რად დაიგვიანე?

— მატარებელმა გამომასწრო.

— აი, აბდალაი! ჩაურთავს სიტყვას მესამე გურული—მატარებელი იმიზა მოიგონეს, რომ ქვეითს გაასწროს.

## წვრილი ამბავი

—

ყველაზედ უდიდესი ზარი პეტერბურგშია, წმ. ისაკის საკრებულოს ტაძრის სამრეკლოში, სიმძიმით 1910 ფუთი და 12 გირ. ზარის ენა 49 ფუთი და 29 გირვანქაა. დასარეკად 8 კაცი უნდება.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

3 მარტი.

**კიევი.** ვაინბაუმის ბანკი დაიკეტა და ფულს აღარავის აძლევს. ბანკის პატრონი არსადა სჩანს. ამბობენ, რომ ბანკის ვალი რამდენიმე ათასი თუმანია. ბანკში შეტანილ ფულის პატრონთა უმრავლესობა ებრაელნი არიან.

**სევასტოპოლი.** იმპერატორის გემი „შტანდარტი“ დღეს პეტერბურგს წავიდა.

**ფრიდრიხსრუე.** იმპერატორი მობრძანდა დილის 11¼ საათზე.

**მადრიდი.** დეპუტატების არჩევანი დანიშნულია 16 აპრილს, სენატორთა არჩევანები—30 აპრილს, პალატის კრება დაიწყება 2 ივნისს.

**რომი.** პალატა. კანევარომ განაცხადა, რომ ამ ჟამად არ შემიძლიან პასუხი გავცე იმათ, ვინც შემეკითხა იტალიის მოქმედების შესახებ ჩინეთში. მე მხოლოდ შემიძლიან კიდევ განვიმეორო ის, რაც გუშინა ვსთქვი და ამიტომ გთხოვთ განიხილოთ ეს საქმე აღდგომის დღესასწაულის შემდეგ პირველ ორშაბათსა.

5 მარტი.

**პეტერბურგი.** 4 მარტს დედოფალმა იმპერატრიცა მარიამ თ... დორეს ასულმა დაათვალიერა ... ნაას ინსტიტუტი.

შინაგან საქმეთა სამინისტ... სამკურნალო დეპარტამენტის ... ყოფილების უფროსი სმირ... დანიშნულ იქმნა კავკასიის ... კურნალო ნაწილის გამგეს თა... დებობის აღმასრულებლად.

**ფრიდრიხსრუე.** იმპერატ... მოსვლისათანავე სამგლოვი... პროცესია გაემართა მავზოლ... საკენ, წინ მიჰქონდათ კნ. ბისმ... კის კუბო, შემდეგ კუბო თა... ბისმარკისა; შემდეგ მიდიოდა ... პერატორი, რომელსაც მარც... მისდევდა გერბერტ ბისმარკი, ... დღისას პროცესია მივიდა მავ... ლეისთან. როდესაც კუბო შ... ვენეს, შევიდნენ იმპერატ... თავადი ბისმარკი და ამალა ი... რატორისა; შემდეგ კარები და... რეს. იმპერატორი, ამალითა ... ბისმარკის ოჯახის წევრებით... სასახლეში დაბრუნდა, სადაც სა... მე იქმნა გამართული. 1 საათ... იმპერატორი სასახლიდგან წავი... ბისმარკის ოჯახმა იმპერატ... მატარებლამდე გააცილა.

**ბერლინი.** ლონდონიდგან იუ... ბიან, რომ როგორც სიტში... ლებულის ცნობებიდგან სჩანს, ... ახლო მომავალში დადებულ... ნება საფინანსო და საპოლიტ... ხელ-შეკრულება საფრანგეთსა ... სპარსეთს შორის. მოლაპარაკ... საიდუმლოდ იყო. საქმე შეეხ... 40,000,000 ფრანკს სესხს, ... თვისაც საფრანგეთი დიდს სარ... ლობას გამოელის.

**პარიზი.** კაბინეტის ბჭო... დროს დიუპუიმ უარ-ჰყო ის ... ვითომ ჩრდილოეთ დასავლე... საზღვრის ზოგიერთმა პრეფექ... მა ჯერ ისევ ბრისონის სამინ... ტროს აცნობეს უცხო-ქვეყნის ... ლის გამოგზავნის შესახებ, ვით... ამ ფულს დამოკიდებულება ჰ... ნოდეს დრეიფუსის საქმეს... დიუპუიმ სთქვა კიდევ, რომ 7 ... ვარს საყვედური გამოუცხადე... რაბბინს ზადოკს ესტერგაზის ... მეში ჩარევის გამო.

**კანეა** კრიტის კონსტიტუ... პროექტი, კამათის შემდეგ, რო... ლიც 25 დღე გაგრძელდა, შეწყ... რებულ იქმნა დღეს მეორედ კ... ვის დროს. ამ გადაწყვეტილ... კრება ტაშის ცემით მიეგება.

**მადრიდი.** დედოფალი ... მოაწერს ხელს შეერთებულ ... ტებთან დადებულ ხელ-შეკრუ... ბას. დედოფალმა მოაწერა ... დეკრეტს აწინდელის კორტ... ბის დათხოვნისა და ახალის ... ვევის შესახებ.

---

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 766.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Мартъ 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ა. ...